საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990146066687223

№17/4063 **23 / ოქტომბერი / 2023 წ.**

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოადგილეს, ქალბატონ მაია ბერაძეს

ქალბატონო მაია,

თქვენი 18.10.2023 წლის N 21/8909 წერილის პასუხად, რომელიც ეხება გორისა და კასპის მუნიციპალიტეტებში, 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე სააგენტოს მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენას, გაცნობებთ, რომ N8 ანძის განთავსება დაგეგმილია კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის - ნადარბაზევის წმ გიორგის ეკლესიის ვიზუალური დაცვის არეალში, ძეგლიდან 73 მეტრში. გაცნობებთ, რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მიხედვით, ძეგლების დამცავ ზონებში ძეგლების აქტიური ვიზუალური აღქმის სივრცეში დაუშვებელია დიდმასშტაბიანი სარეკლამო აბრების, ელექტრო და სატელეფონო ანძების, სატელევიზიო ანტენების და სხვა დიდმასშტაბიანი მიწისზედა საინჟინრო და ტექნოლოგიური მოწყობილობების განთავსება.

შესაბამისად, დასახელებული კანონის თანახმად, **აუცილებელია N8 ანძის განთავსება მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონის მიღმა (არანაკლებ 350 მ დაშორებით).**

ამავე დროს, **აღნიშნულ მონაკვეთზე N8 ანძის განთავსებისას (გადატანის შემთხვევაში) და ასევე 35-44 ანძების განთავსებისას აუცილებელია მიწის სამუშაოები წარიმართოს არქეოლოგის ზედამხედველობის ქვეშ** და არქეოლოგიური ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეჩერდეს სამუშაოები და აღმოჩენის შესახებ ეცნობოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე ხელმოწერილია/შტამპდასმულია ელექტრონულად პაატა გაფრინდაშვილი